



**უნისონი**

სადაზღვევო კომპანია

**ფიზიკური პირ(ებ)ის  
ქონების დაზღვევის პირობები**

**INDIVIDUAL PROPERTY INSURANCE WORDING**

**დეკონირებული  
ხელშეკრულების #:**

**N221548358**

# ფიზიკური პირ(ებ)ის ქონების დაზღვევის პირობები

## INDIVIDUAL PROPERTY INSURANCE WORDING

### 1. საერთო პირობები

- 1.1.** წინამდებარე ქონების დაზღვევის პირობები წარმოადგენს დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებულ დაზღვევის ხელშეკრულებას (შემდგომში "პირობები"). წინამდებარე პირობების დადების შესახებ გაიცემა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი - სადაზღვევო მოწმობა (პოლისი) და ქონების დაზღვევა განხორციელდება დამზღვევის განაცხადის, სადაზღვევო პოლისის, წინამდებარე პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 1.2.** წინამდებარე პირობებისაგან განსხვავებული ნებისმიერი პირობა სავალდებულო წესით მითითებული უნდა იქნეს სადაზღვევო პოლისში.
- 1.3.** დამზღვევის განაცხადი და სადაზღვევო პოლისი წინამდებარე პირობების განუყოფელი ნაწილია. სადაზღვევო პოლისისა და ამ პირობების დებულებებს შორის კოლიზიისას უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ დებულებებს. სადაზღვევო განაცხადში მითითებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად თუ განაცხადში მითითებული ინფორმაცია არასწორი ან არაზუსტია ანაზღაურება არ გაიცემა.

### 2. ტერმინთა განმარტება

#### 2.1. სადაზღვევო რისკები:

##### ნაწილი I:

- ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა
- მიწისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა, სეტყვა,
- წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემებიდან გამონადენი წყლით დაზიანება, წყლის ამოხეთქვა ან გამოჟონვა მიწებიდან; ზარალი გამოწვეული მეზობელი ბინიდან წყლის შემოღწევით
- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ქურდობა ან ამდაგვარის მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა
- სარემონტო სამუშაოების პერიოდში ბინის ქირის ხარჯების ანაზღაურება

### 1. General Terms and Conditions

- 1.1.** The insurance agreement - policy (hereinafter "Insurance Policy") represents an agreement between the Insurer and the insured/ policyholder. Insurance is exercised in accordance with Insurance Policy, present terms and conditions, and applicable Georgian legislation;
- 1.2.** Any conditions other than these terms and conditions must be specified in the insurance policy
- 1.3.** Present terms and conditions constitute inherent part of the Insurance Policy. In case of conflict between Insurance Policy and present terms and conditions, priority is given to provisions agreed by Insurance Policy. The Insured is responsible for the information provided in the insurance application, therefore if the information provided in the application is incorrect or inaccurate no compensation will be paid.

### 2. Definition of Terms

#### 2.1. Insurance Risks:

##### Part 1.

- Fire Lightning Explosion,
- Earthquake, Hurricane, Flood, Hail,
- Damage by leakage from water supply and drainage systems, bursting or overflowing of water tanks apparatus or pipes, Loss caused by water leakage from neighbors apartment
- Malicious Damage , theft robbery burglary
- Reimbursement of rent caused during repair works

იმ შემთხვევაში თუ დასაზღვევი ქონება (ბინა) წარმოადგენს გაქირავების ობიექტს რისკებს ემატება:

- ა. რენტის დაკარგვა
- ბ. დამქირავებლის მიერ დაქირავებული ქონების დაზიანება
- გ. ბინის მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა დამქირავებლის წინაშე

შენიშვნა: დასაზღვევი ქონების დანიშნულება მიეთითება შესაბამის დაზღვევის პოლისში.

## ნაწილი II:

### მე-3 პირის წინაშე პასუხისმგებლობა:- მეზობლის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა

**2.2. საბაზრო ღირებულება** - ღირებულება, რომელიც ყალიბდება ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მსგავსი) ქონების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზე მოქმედების შედეგად და შესაბამის ბაზარზე დადებული გარიგების საფუძველზე;

**2.3. აღდგენითი ღირებულება:** - დაზღვეული ქონების დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად საჭირო თანხა, რომელიც მოიცავს სარემონტო სამუშაოებს (მასალის, ტრანსპორტირებისა და სერვისის ჩათვლით), სათადარიგო ნაწილებს, ნებისმიერ სხვა დანახარჯს, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად. აღდგენითი ღირებულება არ მოიცავს დაზღვეული ქონების გაუმჯობესების ხარჯებს.

**2.4. ჩანაცვლებითი ღირებულება:** - დაზიანებული ან განადგურებული ქონების მსგავსი მახასიათებლების მქონე ქონებით ჩანაცვლების ღირებულება

**2.5. პროპორციული დაზღვევა** - დაზღვევა, როდესაც მზღვეველი ანაზღაურებს ზიანის ნაწილს იმ პროპორციით, რა პროპორციაც არსებობდა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის სადაზღვევო თანხასა და პოლისში მითითებული ქონების საბაზრო ღირებულებას შორის.

**2.6 ფრანშიზა** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზიანს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზიანის სიდიდე მეტია ფრანშიზაზე, მზღვეველი იხდის სხვაობას ზიანის სრულ ოდენობასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი არ აღემატება სადაზღვევო თანხას) ან სადაზღვევო თანხასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი აღემატება

In case apartment is used for renting purposes in addition following perils are insured

- a) Loss of rent
- b) Tenants Liability
- c) Landlord's Liability towards tenant

Note: Use of apartment is considered under insurance policy

## Part II. Third Party Liability

### - Liability towards damage to neighbors' apartment

**2.2. Market price** – value formed by mutual influence of demand for and supply of identical items (in the event no identical item exists, - similar items), and on the basis of a deal concluded at relevant market;

**2.3. Restore Value** – Value which is necessary to restore damaged property in the condition it was before damage includes repair works (including materials, transportation, service). Restore value does not include costs associated to improvement and betterment of damaged property.

**2.4. Replacement Cost:** - Replacement of damaged property with similar characteristics.

**2.5. Average** – Insurance, when the insurer reimburses the damages in part, with the proportion which existed between the sum insured and market price of the object to be insured at the moment of insurance event

**2.6. deductible** – part of damages incurred due to insurance event not covered by the insurer. Insurer shall not pay insurance indemnification not exceeding the deductible. In the event damages exceed the deductible the insurer pays the difference between the total amount of damages and the deductible (if the damages incurred do not exceed the sum insured), or between the sum insured and the deductible (whenever damages incurred exceed the sum

სადაზღვევო თანხას). ფრანშიზა აკლდება ზიანის ოდენობას პროპორციული პრინციპის გათვალისწინების შემდეგ.

**2.7. სადაზღვევო თანხა (ლიმიტი)** - სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე – მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი; რომელიც დამზღვევის მითითებით აისახება სადაზღვევო პოლისში და რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისში მითითებულ ქონების საბაზრო ღირებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი მოახდენს ანაზღაურების გაცემას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ანაზღაურების მომენტში დაზღვეული ობიექტის საბაზრო ღირებულებისა. ამასთანავე, მხარეთა შეთანხმებით, სადაზღვევო თანხა შეიძლება იყოს საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები, რომლის შემთხვევაშიც და ზარალის ანაზღაურებისას გამოყენებულ იქნება პროპორციული დაზღვევის პრინციპი;

**2.8. მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტი** - პოლისში განსაზღვრული სადაზღვევო თანხას გამოკლებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უკვე ანაზღაურებული ზარალ(ებ)ის თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ზარალის ანაზღაურების დროს სადაზღვევო თანხა მცირდება ანაზღაურებული თანხის ოდენობით).

**2.9. სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, ქონება ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს/მოსარგებლეს წინამდებარე პირობების საფუძველზე; სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა კანონის საფუძველზე დადგენილი ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილ პირზე, რომელსაც გააჩნია სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ.

**2.10. გამოუმუშავებული სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**2.11. გამოუმუშავებული სადაზღვევო პრემია**- სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**2.12. სადაზღვევო შემთხვევა** - წინამდებარე პირობებით/პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების გარეგანი (ფიზიკური) ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზიანი, რომელიც წარმოშობს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას და რომელიც დასტურდება მზღვეველის მიერ შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი

insured). The deductible is deducted from the amount of damages /loss taking into account the proportionality principle.

**2.7. Sum Insured (Limit of Indemnity)** – the maximum limit, Insurer’s maximum limit of liability, specified in the Insurance Policy, Which is reflected in the insurance policy with the indication of the insured within which the Insurer undertakes to pay indemnification, which should not exceed market price of the insured object; otherwise, the insured will pay indemnification within the limit of the sum insured, which should not exceed market price of the object at the time of indemnification. In addition, pursuant to agreement between the parties the sum insured can be lower than the market price, in which case proportionate principle shall be applied for indemnification of damages.

**2.8. Current Insurance Limit** – Sum Insured considered by insurance policy minus loss amounts already paid. (In case of insurance indemnification, the sum insured will be deducted by the amount of indemnification/loss amount);

**2.9. Insurance indemnification** – sum, property, or service to which the policyholder (insured, beneficiary), is entitled to in the event an insurance event occurs. Insurance indemnification will be paid to a person authorized to receive it according to the legislation, who has insurance interest towards the object of insurance

**2.10 Earned Insurance Premium** – premium for the specific date during the insurance period, proportional to the time passed from the inception of the insurance until the given date;

**2.11. Unearned Insurance Premium** - premium for the specific date during the insurance period, proportional to the time left from the given date until the end of the insurance contract;



სადაზღვევო შემთხვევის აქტით;

**2.13. მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა** – დამზღვევის პასუხისმგებლობით გამოწვეული ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და/ან ქონებას და დამზღვევის/დაზღვეულის პასუხისმგებლობა დადგენილია შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

**2.14. „დაზღვევის დოკუმენტები“** - დამზღვევის განაცხადი, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი და დამზღვევის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაცია, წინამდებარე პირობები და სადაზღვევო პოლისი.

**2.15. სადაზღვევო შემთხვევის აქტი** - დამზღვევის/დაზღვეულის და მზღვეველის მიერ პოლისის პირობების შესაბამისად მხარეთა ორმხრივად შეთანხმებული და ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა, მისი გაცემის ფორმა და წესი.

**2.16. სადაზღვევო დაფარვა და პერიოდი:** - დაზღვევა მოქმედია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე და ვრცელდება მხოლოდ პოლისით განსაზღვრულ ქონებაზე, სადაზღვევო რისკებზე, ტერიტორიაზე, ვადებზე, წინამდებარე პირობებით ან/და პოლისით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით. დაზღვევის ვადა იწყება სადაზღვევო პოლისში მითითებული დღის 24 საათიდან და მთავრდება პოლისში მითითებული დღის 24 საათზე. პოლისი ძალაში შედის პირველი და ერთგვარადი სადაზღვევო პრემიის გადახდის დღის 24 საათზე თუ სადაზღვევო პოლისით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

სადაზღვევო პოლისი და შესაბამისად სადაზღვევო პერიოდი ექვემდებარება იმავე პირობებით ყოველი მომდევნო 12 (თორმეტი) თვით ავტომატურ განახლებას, თუ სადაზღვევო პოლისზე მზღვეველთან გაცხადებული არ არის ზარალი.

თუ ერთ-ერთ მხარეს არ სურს სადაზღვევო პოლისისა და შესაბამისი სადაზღვევო პერიოდის ავტომატური განახლება, აღნიშნულის თაობაზე მან უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე 5 (ხუთი) დღით ადრე. მზღვეველის მხრიდან აღნიშნული შეტყობინება დამზღვევისათვის გაგზავნილი იქნება სადაზღვევო პოლისში მითითებულ საკონტაქტო ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

**2.12. Insured event/ accident** – event/accident caused by external (Physical) exposure of peril stipulated by present terms and conditions constituting the basis for receiving insurance indemnity approved by insurance event/accident act signed by parties.

**2.13. Third party liability insurance** – obligation for indemnification of damages inflicted upon life, health, and/or property of the third person by an Insured.

**2.14. Insurance Documentation** - Combination of following documentation: Application form, other documents required by the Insurer and provided by Policyholder, current terms and conditions and Insurance Policy.

**2.15. Accident insurance act** – signed document under policy conditions by insured and insurer, which defines insurance indemnification, form and manner of its issuance.

**2.16. Insurance coverage and Period of Insurance:** - Period of insurance- insurance covers only the property, risks, territory, and the period which is insured under respective insurance policy, in accordance with present agreement and/or policy and Georgian Legislation requirements and respective exclusions.

Insurance Period starts at 24:00 on date shown in policy ends at 24:00 on the date shown in the policy. Insurance starts at 24:00 on the date of insurance premium payment or payment of respective installment as per policy.

Insurance Premium is automatically prolonged for the same period (next 12 months) and conditions in case no loss is notified on the insurance policy.

In case one party does not want to prolong insurance policy, respective party should send notification to other party, prior to 5 days before renewal period. Insurer will send notification to Policyholder by sms on contact number indicated in the Insurance Policy.

### 3. სადაზღვევო პრემია

**3.1.** პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

**3.2.** ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო მზღვეველი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%, ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიისა).

**3.3.** დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი; ან გადახდილია, თუმცა არასრულად) მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.

**3.4** ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია როგორც დამზღვევის ასევე მზღვეველის ინიციატივით.

**3.4.1** დამზღვევის ინიციატივით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას იგი ყველა შემთხვევაში ვალდებულია წერილობით მომართოს მზღვეველს, ზეპირად ან სატელეფონო შეტყობინებით გამოსატული სურვილი არ არის დაზღვევის გაუქმების საფუძველი.

**3.4.2** ყველა შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევა თუ დამზღვევის/ მოსარგებლის/ უფლებამოსილი პირის მიერ რაიმე ფორმით მოხდება მზღვეველთან არასწორი ინფორმაციის მოწოდება, გაყალბება და მზღვეველის შეცდომაში შეყვანა/ მცდელობა.

**3.4.3** დაზღვევის შეწყვეტისას შეწყვეტამდე გამომუშავებული სადაზღვევო პრემია

### 3. Insurance premium

**3.1.** Until the first or one-time insurance contribution/premium is paid on time, the insurer is free from its duties

**3.2.** Due to non-payment of the first or one-time insurance contribution/premium under the established terms and conditions, the insurer is entitled to charge the insurer 0.1% of the unpaid amount (for all overdue days, not more than the total insurance premium specified by the policy).

**3.3.** In case of the first violation of the premium payment (if the whole premium or part of it is not paid in due time or in the prescribed amount) by the insured, the insurer is exempt from fulfilling the obligations undertaken by the present Agreement. The insurer is authorized to suspend the insurance service and do not reimburse insurance accidents after 14 calendar days from the date of violation of the payment schedule, without any notice, until the insurer completes his financial obligations. The insurance service will be renewed only after the payment of the premium by the insurer. The cases, occurred from the fifteenth day of violation, will not be considered as an insurance cases, or paid accordingly by the insurer until the insurance service won't be renewed.

**3.4.** Early termination of the contract is possible upon the initiative of both parties.

**3.4.1.** In the event of unilateral early termination of the insurance initiated by the policyholder in any case he is obliged to inform insurer in written form. A will expressed orally or by telephone is not a ground for cancellation of insurance.

**3.4.2.** In all cases, the Insurer is entitled to terminate the insurance unilaterally if the Insured / Beneficiary / Authorized Person in any way provides incorrect information to the Insurer, falsifies it and misleads / attempts to mislead the Insurer.

**3.4.3.** In case of termination of insurance, the insurance premium generated before termination is not refundable, and therefore:

**a)** If the damage is not reimbursed, the insured

დაბრუნებას არ ექვემდებარება და ამავდროულად:  
**a)** თუ არ არის ანაზღაურებული ზიანი დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს გადაუხადოს შეწყვეტის დღისთვის გამოთქმულ პრემიას დამატებული გამოთქმულ პრემიის 10% (მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სრული სადაზღვევო პრემიისა).

**b)** თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სადაზღვევო პერიოდში, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის გამო, მზღვეველის მხრიდან გაცემულია დამზღვევზე (მოსარგებლებზე) სადაზღვევო ანაზღაურება, მაშინ დამზღვევი ვალდებულია დაფაროს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული წლიური პრემია სრულად ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

**3.5** მზღვეველი უფლებამოსილია: - 1 წლიანი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, დაზღვეული ქონების მიმართ ერთი და იგივე სადაზღვევო რისკის დადგომის შემთხვევაში, ცალმხრივად შეცვალოს დაზღვევის პირობები, მათ შორის სადაზღვევო პრემია, რაზეც 1 (ერთი) თვით ადრე აცნობებს დამზღვევს. მოითხოვოს დამზღვევისაგან შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წერილობითი დასტური შეუთანხმებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს პოლისის მოქმედება.

**3.6** წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პრემია შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს/ შემცირდეს) სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, თუ შეიცვლება ქონების გამოყენების მიზანი (დანიშნულება), დაემატება/გამოაკლდება სადაზღვევო რისკები, შეიცვლება რისკის ხარისხი, ასევე მზღვეველს უფლება აქვს გაზარდოს პრემიის ოდენობა ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის დონის - აშშ დოლართან/ ევროსთან მიმართებაში, ჯამში 5%-ით ან მეტით გაუფასურების შემთხვევაში, გაუფასურების „%-ის შესაბამისად/ ოდენობით - თუ სადაზღვევო პრემია დაფიქსირებულია ეროვნულ ვალუტაში, ასევე სამომხმარებლო ფასების, სამომხმარებლო აქტიურობის ინდექსის და სხვა გლობალური ან/და რეგიონალური ხასიათის სოციალურ - ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. მზღვეველი უფლებამოსილია ამ პუნქტში დასახელებული მიზეზ(ებ)ით პრემიის გაზრდა მოითხოვოს დამზღვევისათვის წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს პოლისის მოქმედება.

**3.7.** ქონების ზარალის დადგომის შემთხვევაში:

**3.7.1.** თუ ზარალის თანხა აღემატება

is obliged to pay the insurer 10% of the unearned premium added to the premium earned on the day of termination (but not more than the full insurance premium provided by the insurance policy).

**b)** If in the insurance period before the termination of the contract, due to an insured event, the insurer has paid an insurance indemnity to the insured (beneficiary), then the insured is obliged to pay the annual premium fully specified in the relevant policy within 5 (five) working days.

**3.5** The Insurer is entitled to: - unilaterally change the terms of insurance, including the insurance premium, within one (one) month in advance, in case of the same insurance risk to the insured property during a 1-year insurance period. Require from the Insured the consent to terminate the policy, in case of disagreement within 2 (two) working days, after receiving the notification, cancel the policy.

**3.6** Pursuant to this Agreement and the legislation of Georgia, the premium may change (increase / decrease) during the insurance period, if the purpose (purpose) of the property is changed, the insurance risks are added / subtracted, the degree of risk is changed, and the insurer has the right to increase the premium during the period of validity of the insurance contract, in case of total 5 or more percent devaluation of Georgian national currency against USD / EUR towards devaluation percentage / amount. Also, if the original premium specified in the policy is nominated in the national currency as well as in consumer prices, consumer activity index and considering other global and / or regional social-economic factors. The Insurer is entitled to request an increase in the premium for the reason (s) mentioned in this paragraph by sending a written notice to the Insurer and in case of disagreement to terminate the policy.

**3.6.** If the original premium specified in the policy is nominated in the national currency and is not linked for settlement day to the dollar exchange rate (The rate set by the National Bank) , during the period of validity of the insurance contract, in case of total 5 or more percent devaluation of Georgian national currency against USD / EUR and upon the written notice to the insured, insurer is entitled to increase the amount of the insur-



სადაზღვევო თანხის 20%-ს, გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება პოლისით გათვალისწინებული წლიური პრემიის დარჩენილი ნაწილი, რომელიც დამზღვევს აქვს გადასახდელი მზღვეველისათვის.

**3.7.2.** თუ ზარალის თანხა არ აღემატება სადაზღვევო თანხის 20%-ს, სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენის თარიღისათვის პრემიის დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩაითვალოს/დააკლოს გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებაში.

#### 4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

##### 4.1. დამზღვევი ვალდებულია:

- 4.1.1.** როგორც პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის;
- 4.1.2.** აცნობოს მზღვეველს ქონების დაკავშირებით სხვა სადაზღვევო ორგანიზაციაში გაფორმებული ანალოგიური დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ;
- 4.1.3.** წარუდგინოს მზღვეველს დაზღვევის გაფორმებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია; მიიღოს მიზანშეწონილი და გონივრული ზომები იმ მიზეზების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ზიანი;
- 4.1.4.** შემთხვევის დადგომისას, მზღვეველთან შეთანხმებით, შეინარჩუნოს დაზიანებული/განადგურებული ქონების მდგომარეობა მზღვეველის მიერ მის დათვალიერებამდე და ფოტოგადაღებებამდე;
- 4.1.5.** შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში (შსს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური და სხვა), მზღვეველთან სატელეფონო შეტყობინებით - შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, მაშინ როდესაც დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია სატელეფონო შეტყობინების დატოვება, აღნიშნული დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით. ხოლო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით. **დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს**

ance premium (contribution) towards devaluation percentage / amount.

##### 3.7 In case of property damage:

**3.7.1** If the amount of the loss exceeds 20% of the sum insured, the insurance premium to be paid is deducted from the remainder of the annual premium provided by the policy, which the insured owes to the insurer.

**3.7.2** If the loss amount does not exceed 20% of the sum insured, the premium debt (if any) shall be counted / deducted from the insurance indemnity to be paid as of the date of filing the insurance case act.

#### 4. Responsibilities of the Parties

##### 4.1. Responsibilities of the Insured (Policyholder):

- 4.1.1.** Before receiving an Insurance Policy document, as well as throughout its validity period, to supply the insurer with genuine information important for determining the type and degree of the insurance risk;
- 4.1.2.** Inform the insurer regarding any insurance agreement in another insurance company, concluded on the subject of insuring Property.
- 4.1.3.** Submit to the insurer information and documents determined under the present terms and conditions. In the even no such documentation is presented, the Insurer reserves the right not to issue the Insurance Policy document; take appropriate and reasonable measures to avoid reasons which could potentially incur damages;
- 4.1.4.** Whenever the insurance event occurs, subject to agreement with the insurer, maintain the damaged/destroyed condition of the Property until relevant examination/inspection is carried out by the insurer and photographic evidence is gathered;
- 4.1.5.** To communicate the event immediately, as soon as possible, to the (law enforcement authorities, fire service), other competent authorities. Phone notification of Insurer should be done within 24 hours (in case its impossible to provide phone notification, due



**უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.**

**4.1.6.** თუ შემთხვევის შედეგად ზიანი მიადგება მესამე პირის ქონებას, სიცოცხლესა და/ან ჯანმრთელობას, და ასეთ დაფარვას პოლისი ითვალისწინებს, დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირის მიერ მზღვევლთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წერილობითი განაცხადის სახით წარმოდგენა შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, **წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება მესამე პირისათვის ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.**

**4.1.7.** ზიანის დადგომის ფაქტზე მხოლოდ წერილობითი შეტყობინება არ ჩაითვლება საკმარისად ზიანის დადგომის ფაქტის დაფიქსირებისათვის, თუ დამზღვევი (მისი წარმომადგენელი), ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში არ წარმოადგენს საქმის წარმართვისათვის აუცილებელ და წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ დოკუმენტებს, **მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე,** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა;

**4.1.8.** წარუდგინოს მზღვეველს ზიანის ოდენობისა და სხვა მონაცემების განსაზღვრისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტი და მასალა;

**4.1.9.** დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოქმედების (გამოძახება დათვალეიერების ჩასატარებლად, გამოძიება, გამოძახება სასამართლოში და სხვ.) თაობაზე;

**4.1.10.** დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მესამე პირისაგან ოფიციალური პრეტენზიის მიღების შესახებ;

**4.1.11.** არ აღიაროს საკუთარი პასუხისმგებლობა და არ გასცეს პირობა ზიანის კომპენსაციაზე

to the insurers health problems, the aforementioned must be confirmed by a notice received from the relevant health institution), but written notification not less than 2 working days in the form provided by the insurer; In case of violation of mentioned terms, Insurer has the right not to admit requirement on indemnification, telephone notification to consider invalid and not to reimburse damage;

**4.1.6.** In case of loss happened to third parties' life, health or property and such is covered under the respective policy, the policyholder is obliged to make a written notification within 2 working days otherwise Insurer has the right not to admit requirement on indemnification and refuse the reimbursement.

**4.1.7.** Only written notification regarding the incurrance of damages shall not be sufficient for attesting the fact of damages being incurred, if after one month from the date of submission of declaration on incurring of damages, either the policyholder or his/her/its representative (authorised person) does not present documentation required for managment of the case which is defined by present terms and conditions. Insurer reserves the right to consider the notifikation about damages incurred nonexistent and deny payment of insurance indemnification, except for situations when competent organs are investigating the case of damages which makes it impossible for the policyholder to meet the required time limits;

**4.1.8.** Present to the insurer all existing documentation and materials required for determining the amount of damages incurred as well as other required data;

**4.1.9.** Immediately inform the insurer about activities of competent state organs (call for inspection, investigation, summoning at the court, etc.);

**4.1.10.** Immediately inform the insurer in the event of receiving official claim from any third party;

**4.1.11.** Not to recognize its responsibility and

მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

**4.1.12.** ხელი შეუწყოს მზღვეველს სუბროგაციის უფლების გამოყენებაში, გადასცეს მას სათანადო დოკუმენტაცია/ინფორმაცია,;

**4.1.13.** წინამდებარე პირობებითა და პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას მზღვეველს წარუდგინოს:

**ა)** სადაზღვევო პოლისი, წერილობითი განაცხადი ზიანის

დადგომის შესახებ;

**ბ)** ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი

**გ)** უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ (შსს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მეტეოროლოგიური ცენტრი, სახანძრო სამსახური) გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზები

**დ)** კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა, დამზღვევისათვის ხელმისაწვდომი საბუთი, რომელიც აუცილებელია შემთხვევის გარემოებების დასადგენად და ზიანის დასაანგარიშებლად

**ე)** გაქირავებული ქონების დაზღვევის შემთხვევაში, შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება.

**4.1.14.** გარდა ქვეპუნქტ 4.1.13.-ში აღნიშნულისა, შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტ(ებ)ი ( შსს ან სხვა სათანადო ორგანოებიდან), გადასცეს მზღვეველს, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია. ამასთანავე, დაზღვეული რისკების შედეგად დამდგარი შემთხვევის შესაბამისად, დამზღვევი ვალდებულია წარმოუდგინოს და გადასცეს მზღვეველს, ამ უკანასკნელის მიერ, დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით მოთხოვნილი, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ცნობები, დასკვნები და/ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები; მესამე პირთა წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის ან უბედური შემთხვევის რისკის დადგომისას დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს წარუდგინოს ამ ქვეპუნქტის პირველ აბზაცში მითითებული დოკუმენტ(ებ)ი და მესამე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, მკურნალობის საფასურის და/ან გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტები;

**4.1.15.** არ დაიწყოს ქონების შეკეთება მზღვეველის თანხმობის გარეშე; წინააღმდეგ შემთხვევაში ანაზღაურება არ გაიცემა;

**4.1.16.** მზღვეველს წარუდგინოს სწორი

refuse any pledge for compensation of damages without prior written consent of the insurer. Otherwise, the insurer is released from responsibility born.

**4.1.12.** Support the insurer in exercising the right of subrogation transfer of relevant documentation with pertinent rights and authorities, renounce the claiming rights; Otherwise, the insurer reserves the right not to pay insurance indemnification.

**4.1.13.** In the event of insurance event, based on the present terms and conditions and Property Insurance Policy, present to the insurer:

**A)** Insurance certificate/policy. Written statement about damages incurred;

**B)** Property Ownership Registration Certificate

**C)** Documentation from relevant authorities (Ministry of internal affairs, Documents from meteorology center, Emergency Management Services etc)

**D)** Based on particular event, Insurers has right to request additional documents connected with event to ensure, event was caused due to insured peril.

**E)** In case apartment is used for renting, relevant rent agreement.

**4.1.14.** Additionally, the policyholder/insured is required to present and submit to the Insurer all certificates, reports, and/or other relevant documentation requested by the latter, which shall be issued by competent organs. In the event of third party liability of the policyholder/insured or risk of personal accident, the policyholder (insured) is required to submit to the insurer, documents envisaged under this sub-paragraph including third parties health condition documents, treatment information and costs or document confirming death of person;

**4.1.15.** Not to start repairing of the Property without the consent of the Insurer. Otherwise no reimbursement will be issued;

**4.1.16.** Submit the correct data, there should be no substitution, also confirm the facts

მონაცემები, ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიყალბეს; ასევე დაადასტუროს მის მიერ გადმოცემული, განმარტებული თუ განაცხადში მითითებული ფაქტები.

**4.1.17.** მზღვეველის დავალების საფუძველზე კომპეტენტური ორგანიზაციის (შემფასებლის) მიერ განხორციელებული შეფასების შემდგომ, თავისი ხარჯით უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენახვა იმ დრომდე, სანამ მზღვეველი არ მიიღებს გადაწყვეტილებას ანაზღაურების თაობაზე, ხოლო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ თუ სახეზეა სრული განადგურება და მხარეები შეთანხმდებიან განადგურებული ქონების გადაცემაზე, ანაზღაურების დღესვე გადასცეს მზღვეველს საკუთრებაში განადგურებული (დაზიანებული) ქონება, რომლის გადაფორმების ხარჯებს დაფარავს დამზღვევი.

**4.1.18.** მზღვეველი ანაზღაურებას გასცემს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად მხოლოდ შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად დაკვალიფიცირების შემდგომ, მზღვეველის ექსპერტის მიერ დადგენილი დაზიანებების შესაბამისი შეფასებისა და ინვოისის საფუძველზე,

#### **4.2. დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია:**

**4.2.1.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობებით/პოლისით დადგენილი წესით;

**4.2.2.** მოითხოვოს საკუთარი ხარჯებით ექსპერტიზის ჩატარება;

**4.2.3.** მზღვეველთან შეთანხმებით შეცვალოს პირობები;

#### **4.3. მზღვეველი ვალდებულია:**

**4.3.1.** მიიღოს და განიხილოს დამზღვევის განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;

**4.3.2.** წინამდებარე პირობებისა და პოლისის შესაბამისად განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი;

**4.3.3.** გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ყველა აუცილებელი დოკუმენტის მიღების, სადაზღვევო შემთხვევის დადგენის, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის სადაზღვევო შემთხვევის აქტში განსაზღვრიდან და სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ამ პირობებით დადგენილი წესით (თუ წინამდებარე პირობების გარდა მხარეების მიერ დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული);

#### **4.4. მზღვეველი უფლებამოსილია:**

**4.4.1.** დაათვალიეროს დასაზღვევი/ დაზღვეული ქონება;

**4.4.2.** დამზღვევის დასწრებით (თუ ეს

conveyed, explained or specified in the application by him.

**4.1.17.** After the assessment by competent organization (appraisal) under the insurer's order, at his own expense save the damaged property until the insurer takes decision of insurance indemnification, and after the adoption of above decision there is complete destruction and both sides agree to transfer the destroyed Property to the insurer, in the same day of taking insurance indemnification transfer the ownership of damaged property to the insurer, and all including expenses will cover insured.

**4.1.18.** The Insurer will issue the indemnification according to the present Terms and Conditions only after the case is qualified as an insurance case, on the basis of the relevant assessment and invoice for the damages provided by the Experts.

#### **4.2. The insured /Beneficiary is entitled to:**

**4.2.1.** Upon the occurrence of the insurance event receive insurance indemnification according to the given policy;

**4.2.2.** Demand conducting of expertise/inspection, where the costs are born by the policyholder.

**4.2.3.** Modify/change the terms and conditions of the agreement together with the insurer;

#### **4.3. The insurer is required to :**

**4.3.1.** Receive and consider the policyholder's claim for damages incurred;

**4.3.2.** Compile and draft the insurance event act and determine the insurance indemnification sum;

**4.3.3.** Release insurance indemnification payment within 10 (ten) working days, upon receiving all the necessary data and material about the insurance event, determining the occurrence of insurance event and insurance indemnification amount, according to the



შესაძლებელია), შეადგინოს დაზიანებული ქონების დათვლიერების აქტი;

**4.4.3.** ჩაატაროს ექსპერტიზა;

**4.4.4.** ქონების დაზიანებისას შეაკეთოს დაზიანებული ნაწილები, თუ ისინი ექვემდებარება აღდგენას;

**4.4.5.** შეადგინოს შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე;

**4.4.6.** სადაზღვევო რისკების დადგომით გამოწვეულ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, მზღვეველი უფლებამოსილია გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადანყვეტილების მიღება. ამასთან მზღვეველი უფლებამოსილია საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე მისცეს თანხმობა დამზღვევს მზღვეველის შემფასებლის (ექსპერტის) მიერ შედგენილი და მხარეთა მიერ შეთანხმებული კალკულაციის საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დაზიანებული ქონების აღდგენა. იმ შემთხვევაში თუ საგამოძიებო ორგანოების მიერ მიღებული საბოლოო გადანყვეტილებით მზღვეველის მიერ შემთხვევა კვალიფიცირდება სადაზღვევო შემთხვევად და მზღვეველი მიიღებს გადანყვეტილებას ზარალის ანაზღაურების თაობაზე, მზღვეველი უფლებამოსილია ზარალის ოდენობის დადგენისას, უპირატესობა მიანიჭოს, საგამოძიებო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ოდენობასა და სხვა ალტერნატიული შემფასებლის მიერ შედგენილი კალკულაციით განსაზღვრული თანხების შედარებით მიღებულ უფრო მცირე ოდენობას, მიუხედავად ზარალის ოდენობის, მზღვეველსა და დამზღვევს შორის თავდაპირველი შეთანხმებისა.

**4.4.8.** არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის მიერ ქონების დაზღვევის პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებათა, შეუსრულებისას;

**4.4.9.** არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მხოლოდ დამზღვევის მიერ მითითებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ კომპეტენტური ორგანოების მიერ შეუძლებელია შემთხვევის გამომწვევი ვითარების დადგენა და შესაბამისად ვერ ხდება სადაზღვევო რისკის დადგომის ფაქტის დადგენა. ნებისმიერ ეჭვი და დაუდგენელი ფაქტი მოქმედებს მზღვეველის სასარგებლოდ.

**4.4.10.** არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის ორმხრივად ხელმოწერამდე;

terms and conditions for land motor vehicle insurance (if no other agreement about the time frame exists between the parties);

**4.4.** The insurer is entitled:

**4.4.1.** To examine/inspect the Property.

**4.4.2.** In the presence of the insured, (if it is possible), file the examination act of the damaged Property.

**4.4.3.** Make expertise

**4.4.4.** In case of the Property being damaged, fix/repair the damaged parts, if they are repairable.

**4.4.5.** Based on the degree of the damage incurred, calculate the repair cost/draft list.

**4.4.6.** Regarding criminal case or investigation caused from insurance risk, insurer has right to delay making decision about the Property repairs. Insurer has right to give consent, about payment of damages on his own account Based on repair cost list/calculation, before making final decision. When according to investigative authority's final decision this case will classified as insurance accident and insurer will make decision about compensation, insurer has a right, while fixing the final value extent of damage, to prefer the less quantity between the investigative authority's expertise conclusion and other alternative valuator, despite of damage amount and agreement between the insurer and policyholder;

**4.4.8.** Not issue the insurance indemnification, in case the policyholder fails to fulfill his/her obligations as set out in Property Insurance Policy, included Failure to fulfill the obligations listed in the paragraphs above;

**4.4.9.** Not issue the insurance indemnification, only on the basis of the information given by insured, if it is impossible to determine the fact by competent authorities. Any doubt and unconfirmed fact is acting in favor of the insurer.



